



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



დადგენილება:დ-27. 27233625

თარიღი:28/12/2023

დადგენილება № 27
28 დეკემბერი 2023 წ.
ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“, „ე“, „ვ“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge. 04.04.2023 სარეგისტრაციო კოდი 33 009 0000.05.001.02 08 47) პირველი მუხლის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს მუნიციპალიტეტებში (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა) მწვანე ნარგავათა შერჩევის, დარგვისა და მოვლის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 მარტის №513 დადგენილების საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები“ დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების ნუსხა“ თელავის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებულ იქნეს:

- ა) განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვა/დამტკიცებისას, წარმოსადგენი გამწვანების პროექტის შეთანხმების ფარგლებში;
- ბ) მშენებლობის ნებართვის გაცემისას, წარმოსადგენი გამწვანების პროექტის შეთანხმების ფარგლებში;
- გ) მუნიციპალიტეტის მიერ მწვანე ინფრასტრუქტურული პროექტების მოწყობის ფარგლებში.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების ნუსხა

#	სახელწოდება ქართულად	სახელწოდება ლათინურად	ღეროს გარშემოწერილობა (სანტიმეტრებში)	სიმაღლე (მეტრებში)
ფოთლოვანი ხეები				
1	ივანი ჩვეულებრივი	Fraxinus excelsior		
2	ივანი მახვილნაყოფა	Fraxinus oxycarpa		
3	ივანი გრძელფოთოლა	Fraxinus coriariaefolia		
4	აკაკი კავკასიური	Celtis		
5	ცაცხვი კავკასიური	Tilia caucasica		
6	ცაცხვი გულფოთოლა	Tilia cordata		
7	ცაცხვი უნგრული	Tilia tomentosa		
8	ნეკერჩხალი მინდვრიდ	Acer campestre		
9	ნეკერჩხალი ვერცხლისფერი	Acer saccharinum		
10	კვიდო ხედ ფორმირებული	Ligustrum japonicum		
11	დეკორატიული მაჟალო	Malus floridunda/Malus coccinella		
12	წითელი ტყემალი	Prunus cerasifera 'Pisardii'		

13	არღვანი (იუდას ხე)	Cercis siliquastrum		
14	ამბრის ხე	Liquidambar sturaciflua		
15	გინკო ბილობა	Cinko biloba		
16	მელია	Melia szedarach		
17	ფშატი	Elaeaghus ahgustifolia		
18	ქართული მუხა	Quercus iberica		
19	ზეთისხილის ხე	Olea europaea		
20	ალბიცია (ლენქორანული აკაცია)	Albizzia julibrissih		
21	ცხენისწაბლი	Aesculus sp./Aeskulus hippocastanus		
22	პანტა კავკასიური	Pyrus caucasica		
23	მაჟალო	Malus otientalis		
24	მტირალა ტირიფი	Salix babulohica		
25	თუთუბი	Rhus coriaria		
26	კოწახური ჩვეულებრივი	Berberis vulgaris		
27	ბროწეული	Puhica granatum		
წიწვოვანი ხეები				
1	კვიპაროზი მარადმწვანე პირამიდალური	Cupressus sempervirens Pyramidalis		
2	კვიპაროზი მარადმწვანე ჰორიზონტალური	Cupressus sempervirens var. horizontal		
3	არიზონული კვიპაროზი	Cupressus arizonika		
4	ლეილანდიის კვიპაროზი	Cupressus leylandi		

5	ტოსკანური კვიპაროზი	Cupressus semoervirens		
6	ჰიმალაური კედარი	Cedrus deodara		
7	ატლასის კედარი	Cedrus atlantica		
8	ელდარის ფიჭვი	Pinus eldarika		
9	შავი ფიჭვი	Pinus nigra		
10	იტალიური ფიჭვი	Pinus pinea		
11	უთხოვარი	Taxus baccata		
12	ვერცხლისფერი ნაძვი	Picea pungens Glauca		
13	ესპანური სოჭი	Abies Pinsapo		
ფოთლოვანი ბუჩქები				
1	ირმის რქა ბუჩქად ფორმირებული	Lagerstroemia indica		
2	აბელია დიდფოთოლა	Abelia grandiflora		
3	ბუდლეა	Buddleja davidii		
4	ჩვეულებრივი ბზა	sempervirens		
5	იაპონური ფშატი	Elaeagnus x ebbingei "Limelight"		
6	ფოტინია	Photinia x fraseri Red Robin		
7	სურნელოვანი ძახველი	Vibrunum tinus		
8	მარადმწვანე, პრიალაფოთოლა ძახველი	Vibrunum lucidum		
9	ცხრატყავა (სხვადასხვა სახეობები)	Lonicera nitida/iberica/ caucasica		
10	ჩიტავაშლა (სხვადასხვა სახეობები)	Pyracantha coccinea/integerrima/melanocarpa		
11	ჟეორი	Ilex x meserveae Blue Princess		

12	ჭყორი ჭრელფოთოლა	Ilex aguifolium Argantea marginata		
13	იაპონური კვიდო	Ligustrum japonicum		
14	კვიდო ჭრელფოთოლა	Ligustrum lucidum Variegata		
15	სირიული ვარდი	Hibiscus syriacus		
16	ოლეანდრა	Nerium oleandr		
17	ვარდი (სხვადასხვა ჯიში)	Rosa sp.		
18	ნანდინა (სხვადასხვა სახეობა)	Nandina domestica		
19	ქანჭყატი იაპონური (სხვადასხვა)	Euonymus japonicus		
20	დეკორატიული კოწახური (სხვადასხვა ფორმა)	Berberis sp.		
21	იალღუნი (თამარიქსი)	Tamarix hohenackeri/ Tamarix gallica/Tamarix tetrandra		
22	თრიმლი	Cotinus coggygria		
23	გრაკლა (სხვადასხვა ფორმა)	Spiraea sp. /Spiraea hypericifolia		
მხვიარა ბუჩქები და მრავალწლიანი ბალახები				
1	გლიცინა	Wintertia sinensis		
2	უსურვაზი	Parthanocissus sp.		
3	ცხრატყავა	Lonicera caprifolium		
4	წვრილფოთოლა სურო	Hedera helix		
5	კატაბარდა	Clsmatis sp.		

6	როზმარინი	Pozmarinus officinalis		
7	წივანა	Festuca sp.		
წიწვოვანი ბუჩქები				
1	ტუია ნანა - ოქროსფერი	Tyuja orientalis Aurea Nana		
2	ტუია სამარაგლი	Tyuja occidentalis Smaragd		
3	ტუია ბრაბანტი	Tyuja occidentalis Brabant		
4	ტუია	Tyuja occidentalis Yellow Ribbon		
5	ღვია გართხმული	Juniperus x pfitzeriana Mordigan Gold		
6	ღვია გართხმული	Juniperus x media Mint julep		
7	ღვია გართხმული	Juniperus horizontalis		
8	ღვია „კაზაკური“	Juniperus sabina		
9	ღვია „მერალი“	Juniperus foetidissima		
10	ჯუჯა ფიჭვი	Pinus mugo pumilio		
11	ჯუჯა ფიჭვი	Pinus mugo mugus		
12	ჯუჯა ნაძვი	Pices glauca conica/ globosa		
13	უთხოვარის ბუჩქი	Taxus baccata		

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი) განსაზღვრული განაშენიანების დეტალური გეგმისა მშენებლობის ნებართვის გაცემის ფარგლებში შესათანხმებელი გამწვანების პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა. აგრეთვე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული დაგეგმილი გამწვანების (რომელშიც აღწერილია სავარაუდო გამწვანების პროექტი) დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა.

2. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კოდექსით გათვალისწინებულ გამწვანების პროექტზე, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ ფუნქციური ზონისა, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

3. გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კოდექსის მე-3 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის ეტაპზე დასამუშავებელი გამწვანების ზოგადი პროექტი

1. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების ეტაპზე წარსადგენი გამწვანების ზოგადი პროექტი უნდა მოიცავდეს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს.

2. გამწვანების ზოგადი პროექტის შეთანხმების პირობები:

ა) გამწვანების ზოგადი პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) გამწვანების ზოგადი პროექტი უნდა მოიცავდეს საპროექტო-ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზეც დატანილი უნდა იქნას გასამწვანებელი არეალები;

გ) გამწვანების ზოგადი პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავების

შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით, საპროექტო არეალში შემავალი თითოეული მიწის ნაკვეთისთვის ცალ-ცალკე;

დ) მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციითა და პირობითი აღნიშვნებით დატანილ უნდა იქნას საპროექტო-ტოპოგრაფიულ გეგმაზე;

ე) პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი მოსაჭრელი, ჯანსაღი, ღირებული მწვანე ნარგავების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი ღირებული მწვანე ნარგავების 25 %-ს;

ვ) გამწვანების ზოგად პროექტში მითითებული უნდა იყოს დაგეგმილი ფუნქციური ზონის შესაბამისი გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი/ები შესაბამის საანგარიშო ფართობ(ებ)თან ერთად.

მუხლი 3. განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული გამწვანების პროექტი

1. განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული გამწვანების პროექტი შედგენილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონირების შესაბამისად, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ ფუნქციური ზონისა, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

2. გამწვანების პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი შესაბამის საანგარიშო ფართობთან ერთად, რომლის ათვისებაც ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს მწვანე ნარგავებით;

ბ) გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობა და დახასიათება (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე);

გ) არსებული, გადასარგავი და საპროექტოდ დასარგავი მწვანე ნარგავების გაშენების არეალი;

დ) გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი;

ე) გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი;

ვ) ფოტომონიტაჟის სახით მოცემული გამწვანების პროექტის გამოსახულება;

ზ) დამატებითი საინფორმაციო დაფის ამსახველი ფოტოსურათები, რომელზედაც მითითებულია ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ.

3. გამწვანების პროექტის ფარგლებში დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობები უნდა შეირჩეს ამ დადგენილების დანართი №1-ის გათვალისწინებით, თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი პრიორიტეტული ხე-მცენარეების ნუსხიდან.

4. გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნას.

5. მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) გაცემული უნდა იყოს შესაბამისი ექსპერტის მიერ. ექსპერტთა სიის განსაზღვრის უფლებამოსილება აქვს მუნიციპალიტეტს;

ბ) შედგენილი უნდა იყოს კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ტერმინების გამოყენებით;

6. მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემულ საექსპერტო დასკვნაში მითითებული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მწვანე ნარგავების შესწავლისა და დასკვნის გაცემის თარიღი, ადგილი (მისამართი, საკადასტრო კოდი) და საფუძველი;

ბ) ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა და შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა;

გ) კვლევის ჩატარების მეთოდი;

დ) ინფორმაცია მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების თაობაზე;

ე) მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფერადი ფოტო-მასალა, რომელზეც თვალსაჩინოდ უნდა ჩანდეს საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი თითოეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი მდგომარეობა (როგორც ღერო, ასევე ვარჯი) და საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მინიჭებული ნუმერაცია;

ვ) დაავადებული/წვერხმელი მწვანე ნარგავების შემთხვევაში დასკვნას უნდა ერთვოდეს ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი, ასეთის საჭიროებისას და დასაბუთება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ხე-მცენარე გამოჯანსაღებას;

ზ) ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში ექსპერტის დასაბუთებული არგუმენტაცია ხე-მცენარის გადარგვისა და მისი გახარების შესაძლებლობის თაობაზე;

თ) წვერხმელი მწვანე ნარგავების შემთხვევაში - მწვანე ნარგავის რა ნაწილია ხმელი;

ი) საექსპერტო დასკვნა უნდა მოიცავდეს ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზეც დატანილი უნდა იყოს საპროექტო ობიექტების სქემა (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგი და სხვა) და საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციით, ასევე, ტოპოგრაფიულ გეგმაზე აღნიშნული უნდა იყოს საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილები.

მუხლი 4. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი სანებართვო განაცხადისთვის თანდართული გამწვანების პროექტი

1. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს:

ა) განაშენიანების დეტალური გეგმის არსებობის შემთხვევაში - ამ გეგმის ფარგლებში შეთანხმებულ გამწვანების პროექტს;

ბ) გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრულ ფართობს, გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას და დახასიათებას (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე), გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს, გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელ პირს, ფოტომონიტაჟის სახით მოცემულ გამწვანების პროექტის გამოსახულებას;

გ) დამატებითი საინფორმაციო დაფის ამსახველ ფოტოსურათებს, რომელზედაც მითითებულია ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური

კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ.

2. ეს მუხლი არ ვრცელდება ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებსა და იმ შენობა-ნაგებობების არქიტექტურულ პროექტებზე, რომელთა შეთანხმებაც მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

3. სამშენებლო ნებართვის მფლობელმა, ნებართვის დადგენილი წესით გაცემიდან 10 დღის ვადაში არსებული საინფორმაციო დაფის გვერდით უნდა განათავსოს სხვა, დამატებითი საინფორმაციო დაფა, რომელზედაც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმებაც მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის), კერძოდ:

- ა) გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობი;
- ბ) გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი;
- გ) გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობა და დახასიათება (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე);
- დ) გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი;
- ე) ინფორმაცია გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ვ) გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა;
- ზ) შეთანხმებული გამწვანების პროექტის მაკეტი ან/და გამოსახულება ფოტომონტაჟის სახით.

მუხლი 5. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული დაგეგმილი გამწვანების პროექტი

1. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებულია დაგეგმილი გამწვანების პროექტის წარდგენა, მასში უნდა აღიწეროს სავარაუდო გამწვანების პროექტი.

2. დაგეგმილი გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს:

- ა) ინფორმაციას დაგეგმილი გამწვანების შესახებ, რომელშიც აღწერილია სავარაუდო გამწვანების პროექტი, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა;
- ბ) ექსპერტის დასკვნას მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავის/ნარგავების აღწერისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ;
- გ) ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზედაც აღნიშნულია მწვანე ნარგავები ექსპერტის დასკვნით მინიჭებული ნომრების მიხედვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები არ მოითხოვება იმ ფუნქციურ ზონაზე, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

წინამდებარე ნორმატიული აქტის მიღების მიზანს წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების განსაზღვრა.

2023 წლის 4 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტების ვალდებულება 2024 წლის 1 იანვრამდე დაადგინონ მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობები, აგრეთვე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები. ამასთან, 2023 წლის 13 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა №513 დადგენილება „საქართველოს მუნიციპალიტეტებში (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა) მწვანე ნარგავობათა შერჩევის, დარგვისა და მოვლის პირობების განსაზღვრის შესახებ“. ხსენებული სამართლებრივი აქტები განაპირობებს საკრებულოს მიერ წინამდებარე დადგენილების მიღების აუცილებლობას.

დადგენილების პროექტი შემუშავებულია საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტისა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) ჩართულობით.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

დადგენილების პროექტი არ უკავშირდება ევროკავშირის რომელიმე სამართლებრივ აქტს, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება
დადგენილების პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება
დადგენილების პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო - ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება
დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

დადგენილების პროექტის მიღების შემთხვევაში, განისაზღვრება თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები, შესაბამისად საკრებულოს მიერ მიღებული იქნება მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არსებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტის განხორციელება არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ვადებთან.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.